

შპს “კონდოლი“-ს

საწყისი ფინანსური ანგარიშგება და განმარტებები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ასარჩევი

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3-4
საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	5-6
საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8-14

საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნები	31-12-22	31-12-21	31-12-20
ფული და ფულის ეკვივალენტები	5	650	2,138	2,680
სავაჭრო მოთხოვნები		106,622	-	663,736
გადახდილი ავანსები		1,947	70,747	57,826
მარაგები		28,789	34,117	43,373
მზა პროდუქცია		-	-	-
სხვა		28,789	34,117	43,373
საინვესტიციო ქონება		-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	6	501	1	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
თვითღირებულების მოდელით		-	-	-
გადაფასების მოდელით		-	-	-
გუდვილი		-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები		3,162	3,658	4,154
ძირითადი საშუალებები		2,082,745	2,032,609	2,077,942
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
სულ აქტივები		2,224,416	2,143,270	2,849,711

ვალდებულებები

ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები		-	-	-
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1,400	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		35,936	17,417	27,646
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		2,372,299	2,398,971	2,552,492
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		-	-	-
მიღებული გრანტები		-	-	-
სხვა ვალდებულებები	7	416,514	256,439	420,581
სულ ვალდებულებები		2,672,827	2,672,827	3,000,719
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	8	139,658	139,658	139,658
საემისიო შემოსავალი		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		(741,391)	(669,215)	(290,666)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სხვა რეზერვები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		(601,733)	(529,557)	(151,008)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,224,416	2,143,270	2,849,711

საწყისი სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

2021-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022 წელი	2021 წელი
ნეტო ამონაგები		478,491	493,948
საქონლის გაყიდვიდან	3	259,447	275,548
მომსახურების გაწევიდან	3	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		-	-
სხვა	3	219,044	218,400
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4,359)	(4,359)
საწყისი მარაგები		-	-
მარაგების შესყიდვა		-	-
გადამუშავების დანახარჯები		-	-
საბოლოო მარაგები		-	-
საერთო მოგება		478,491	489,589
სხვა შემოსავალი		27,481	-
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)		(184,291)	(380,290)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)		(70,513)	(64,246)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი (-)		(292,614)	(322,922)
იჯარის ხარჯი (-)		(5,085)	(5,085)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	4	(39,000)	(82,742)
სულ საოპერაციო ხარჯები		(564,022)	(855,285)
საოპერაციო მოგება		(85,531)	(365,696)

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები (-)	-	-
მარაგები (-)	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	14,945	(12,853)
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	(1,599)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(72,185)	(378,549)
მოგების გადასახადი (-)	-	-
მოგება/(ზარალი)	(72,185)	(378,549)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(72,185)	(378,549)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	(529,557)	(151,008)
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	9	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(601,733)	(529,557)

საწყისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021-2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022 წელი	2021 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	60,374	211,165
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(50,137)	(45,333)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(26,672)	(153,521)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(16,434)	12,311
სავალუტო კურსის ეფექტი	14,945	(12,853)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	2,138	2,680
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	650	2,138

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კონდოლი“ (ს/ნ 405086400) (შემდგომში „კომპანია“ ან „საწარმო“) რეგისტრირებულია 2015 წლის 23 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჟ. შარტავას 32, ბინა 24 და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ყვარელის რაიონი, სოფელი შაქრიანი შაქრიანი.

შპს „კონდოლი“-ს მესაკუთრე არის: 1) ირაკლი კოტეტიშვილი (პ/ნ 01024002965) - 100%. კომპანიის დირექტორი არის ირაკლი გაბედავა (პ/ნ 62002006474). კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ყურძნის მოყვანა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების მისი შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სკს) გათვალისწინებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

სკს-ს მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. იმ შემთხვევაში თუ დივიდენდები განაწილებულია 2008-2016 წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან, მაშინ მოგების გადასახადის ვალდებულება საწარმოს არ წარმოეშვება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული

საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და სხვა). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა არასაოპერაციო ხარჯებში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები (პროცენტი):

ძირითადი საშუალებების დასახელება	სასარგებლო გამოყენების ვადა
შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%
არამატერიალური აქტივები	4%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა ან აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ამონაგები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>
	ლარი	ლარი
შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან	259,447	275,548
შემოსავალი საიჯარო მომსახურების მიწოდებიდან	219,044	218,400
	478,491	493,948

4. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>
	ლარი	ლარი
საპენსიო შენატანის ხარჯი	1,045	2,329
კომუნალური ხარჯი	4,524	3,898
ტრანსპორტირების მომსახურების ხარჯი	832	1,638
საწვავის ხარჯი	-	5,103
ქონების გადასახადის ხარჯი	14,105	14,112

სხვა საგადასახადო ხარჯი	1,212	1,376
საჯაროს რეესტრის ხარჯი	39	10
ბანკის მომსახურების ხარჯი	4,914	582
ლაბორატორიული კვლევების ხარჯი	-	20
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	490	1,209
ქიმიკატების ხარჯი	11,756	52,289
სხვადასხვა ხარჯი	84	176
	39,000	82,742

5. ფული და ფულის ეკვივალენტები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	94	694	31
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	556	1,411	2,510
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	33	139
	650	2,138	2,680

6. სხვა მიმდინარე აქტივები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
მოთხოვნები ანგარიშვალდ. პირის მიმართ	501	1	-
	501	1	-

7. სხვა ვალდებულებები

	<u>2022 წელი</u>	<u>2021 წელი</u>	<u>2020 წელი</u>
	ლარი	ლარი	ლარი
საპროცენტო ვალდებულებები	416,514	161,850	420,088
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-	94,590	493
	416,514	256,439	420,581

8. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 139,658 ლარს და მას სრულად ფლობს დამფუძნებელი.

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 23 სექტემბერს.

შპს „კონდოლი“-ს

დირექტორი: ირაკლი გაბედავა /

8. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 01 იანვრისთვის შეადგენდა 139,658 ლარს და მას სრულად ფლობს დამფუძნებელი.

9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 23 სექტემბერს.

შპს „კონდოლი“-ს

დირექტორი: ირაკლი გაბედავა /

